

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22
2020 წლის 8 დეკემბერი

ქ. დმანისი

„დმანისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტების, 24-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20-ე მუხლის თანახმად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „დმანისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 დეკემბრის N24 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/12/2019, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.156.016375) და დადგენილების 1-ლი, მე-7 და მე-19 მუხლები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

თავი I. დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

№	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
I	I. შემოსავლები	8 829,1	15 171,1	5 929,2	9 241,9	16 639,8	10 454,9	6 184,9
1,1	გადასახადები	1 692,9	6 289,0	0,0	6 289,0	6 719,9	6 719,9	0,0
1,3	გრანტები	5 769,8	5 929,2	5 929,2	0,0	6 184,9	0,0	6 184,9
1,4	სხვა შემოსავლები	1 366,4	2 952,9	0,0	2 952,9	3 735,0	3 735,0	0,0
II	II. ხარჯები	3 818,4	5 678,8	708,1	4 970,7	5 852,9	5 477,4	375,5
2,1	შრომის ანაზღაურება	1 181,5	1 420,0	69,0	1 351,0	1 443,1	1 371,3	71,8
2,2	საქონელი და მომსახურება	747,8	1 809,5	434,9	1 374,6	1 910,7	1 679,4	231,3



2,4	პროცენტი	52,5	55,0		55,0	36,0	36,0	0,0
2,5	სუბსიდიები	1 429,2	1 831,0	52,2	1 778,8	1 794,0	1 741,8	52,2
2,6	გრანტები	20,0	25,0	0,0	25,0	29,0	29,0	0,0
2,7	სოციალური უზრუნველყოფა	290,7	300,0	2,0	298,0	528,6	526,6	2,0
2,8	სხვა ხარჯები	96,7	238,3	150,0	88,3	111,5	93,3	18,2
III	III.საოპერაციო საღდო	5 010,7	9 492,3	5 221,1	4 271,2	10 786,9	4 977,5	5 809,4
IV	IV.არაფინანსური აქტივების ცვლილება	1 378,3	14 661,9	7 029,1	7 632,8	18 279,1	10 087,1	8 192,0
	ზრდა	1 424,4	14 666,9	7 029,1	7 637,8	18 279,1	10 087,1	8 192,0
	კლება	46,1	5,0	0,0	5,0	0,0	0,0	0,0
V	V.მოთიანი საღდო	3 632,4	-5 169,6	-1 808,0	-3 361,6	-7 492,2	-5 109,6	-2 382,6
VI	VI. ფინანსური აქტივებისცვლილება	0,0	-5 169,6	-1 808,0	-3 361,6	-7 492,2	-5 109,6	-2 382,6
	ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
32.1.2	ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	კლება	0,0	5 169,6	1 808,0	3 361,6	7 492,2	5 109,6	2 382,6
	ვალუტა და დეპოზიტები	0,0	5 169,6	1 808,0	3 361,6	7 492,2	5 109,6	2 382,6
32.1.4	სესხები							
32.1.5	აქციები და სხვა კაპიტალი							
32.1.8	სხვა დებიტორული დავალთანებები							
VII	VII ვალდებულებების ცვლილება	0,0	0,0	0,0	0,0	-55,6	-55,6	0,0
	ზრდა							0,0
33,1	საგარეო							
	საშინაო	0,0						
	კლება	0,0	0,0	0,0	0,0	55,6	55,6	0,0
33,1	საგარეო							
	საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	55,6	55,6	0,0
VIII	VIII ბალანსი	0,0				0,0	0,0	0,0



მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	8875.3	15176.1	9246.9	5929.2	16695.4	10510.5	6184.9
შემოსავლები	8829.2	15171.1	9241.9	5929.2	16639.8	10454.9	6184.9
არაფინანსური აქტივების კლება	46.1	5.0	5.0	0.0	55.6	55.6	0.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	5242.8	20345.7	12608.5	7737.2	24187.8	15620.1	8567.7
ხარჯები	3818.4	5678.8	4970.7	708.1	5852.9	5477.4	375.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	1378.3	14666.9	7637.8	7029.1	18279.3	10087.1	8192.2
ვალდებულებების კლება	46.1	0.0	0.0	0.0	55.6	55.6	0.0
ნაშთის ცვლილება	3632.5	-5169.6	-3361.6	-1808.0	-7492.4	-5109.6	-2382.8

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 16639.8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	8829.1	15171.1	9241.9	5929.2	16639.8	10454.9	6184.9
გადასახდელები	1692.9	6289	6289.0	0.0	6719.9	6719.9	0.0
გრანტები	5769.8	5929.2	0.0	5929.2	6184.9	0.0	6184.9
სხვა შემოსავლები	1366.4	2952.9	2952.9	0.0	3735.0	3735.0	0.0



მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 6719.9 ათასი ლარით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი			
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	
გადასახადები	1693.0	6289.0	6289.0	0.0	6719.9	1450.0	0.0	
დამქვებითი ღირებულების გადასახადი (დღგ)		4939.0	4939.0	0.0	5269.9	5269.9	0.0	
საშემოსავლო გადასახადი	172.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
ქონების გადასახადი	1520.1	1350.0	1350.0	0.0	1450.0	1450.0	0.0	
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	976.6	900.0	900.0	0.0	1000.0	1000.0	0.0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)								
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	512.8	440.0	440.0	0.0	440.0	440.0	0.0	
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	27.8	10.0	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	
სხვა გადასახადები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 6184.9 ათასი ლარით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
გრანტები	5769.8	5929.2	6184.9
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი	5769.8	5929.2	6184.9



ტრანსფერი			
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	3881.2	1008.1	995.6
გათანაბრებითი ტრანსფერი	3751.2	0.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	130.0	1008.1	995.6
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1888.6	4921.1	5189.3
საქ.რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	1888.6	3445.1	4042.6
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0	686	686.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის თანხები	0.0		
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი	0.0	790.0	0.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	0	0	460.7

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 3735.0 ათასი ლარით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
სხვა შემოსავლები	1366.4	2952.9	2752.9	200.0	3735.0	3735.0	0.0
შემოსავლები საკუთრებიდან	1149.7	2757.9	2557.9	200.0	3215.0	3215.0	0.0
პროცენტები	184.5	200.0	0.0	200.0	300.5	300.5	0.0
რენტა	965.2	2557.9	2557.9	0.0	2914.5	2914.5	0.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	817.6	2337.9	2337.9	0.0	2694.5	2694.5	0.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	147.6	220.0	220.0	0.0	220.0	220.0	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	46.8	81.0	81.0	0.0	85.0	85.0	0.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	23.3	36.0	36.0	0.0	35.0	35.0	0.0
სანებართვო მოსაკრებელი	5.5	5.0	5	0.0	4	4	0.0



სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	3.0	1.0	1.0	0.0	1	1.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	14.8	30.0	30	0.0	30	30	0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.0	0.0		0	0		0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	23.5	45.0	45.0	0.0	50.0	50.0	0.0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	23.5	45.0	45	0.0	50.0	50.0	0.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	125.8	79.0	79.0	0.0	100.0	100.0	0.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	44.1	35.0	35.0	0.0	335.0	335.0	0.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 5852.9 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	3819,2	5678,8	4970,7	708,1	5852,9	5477,4	375,5
შრომის ანაზღაურება	1181,4	1420,0	1351,0	69,0	1443,1	1371,3	71,8
საქონელი და მომსახურება	747,7	1809,5	1374,6	434,9	1910,7	1679,4	231,3
პროცენტი	52,5	55,0	55,0	0,0	36,0	36,0	0,0
სუბსიდიები	1429,3	1831,0	1778,8	52,2	1794,0	1741,8	52,2
გრანტები	20,0	25,0	25,0	0,0	29,0	29,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	290,7	300,0	298	2,0	528,6	526,6	2,0
სხვა ხარჯები	97,6	238,3	88,3	150	111,5	93,3	18,2

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება



ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 18279,1 ათასი ლარით.

მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 18279,1ათასი ლარი

ათას ლარი

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	60.4	335.0	103.3
0101	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	60.4	330.00	98.30
0102	საერთო დანიშნულების ხარჯები	0.0	5.0	5.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	1363.9	13764.2	17378.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	816.0	7233.0	7187.9
02 02	წყლის სისტემების განვითარება	38.5	4.0	1879.2
02 03	გარე განათება	55.9	742.6	573.3
0204	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	350.2	2103.9	3466.5
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	86.5	2400.5	2027.9
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	16.8	1280.2	1189.8
02 07	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	0.0	0.0	1053.4
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	0.0	0.0	64.4
0301	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	0.0	0.0	0.0
0302	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	0.0	0.0	0.0
0303	კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში	0.0	0.0	64.4
0304	უპატრონო ცხოველების მოვლთი ღონისძიებები	0.0	0.0	0.0
04 00	განათლება	0.0	541.6	719.1
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	0.0	21.6	0.0
0402	საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება	0.0	0.0	0.0
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	0.0	520.0	719.1
05 00	კულტურა,რელიგია,ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	0.0	26.1	0.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0



05 02	კულტურის სფეროს განვითარება	0.0	26.1	11.8
05 03	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივ საქმიანობა	0.0	0.0	0.0
06 00	სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები	0.0	0.0	2.5
სულ ჯამი		1424.3	14666.9	18279.1

ათას ლარში

	დასახელება	2018წ	2019წ	2020წ
	არაფინანსური აქტივების კლება	46.1	5.0	0.0
	ძირითადი აქტივები	26.8	0.0	0.0
	არაწარმოებული აქტივები	19.3	5.0	0.0
	მიწა	19.3	5.0	0.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში შემდეგი რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2018წ	2019წ	2020წ
701	I. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2022,3	2832,9	2645,3
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2022,3	2832,9	2589,7
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2022,3	2832,9	2589,7
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	0,0	55,6
702	II. თავდაცვა	64,8	75,8	75,8
7021	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	64,8	75,8	75,8
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0,0	0,0	0,0
704	IV. ეკონომიკური საქმიანობა	880,8	7467,0	7436,1
70421	სოფლის მეურნეობა	0,0	0,0	0,0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	880,8	7467,0	7436,1



7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	0,0	0,0	0,0
705	V. გარემოს დაცვა	323,0	390,0	599,1
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	323,0	390,0	509,7
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	880,8	0,0	0,0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	0,0	0,0	89,4
706	VI. საბინაო კომუნალური მეურნეობა	563,6	6920,8	10592,3
7061	ბინათმშენებლობა	350,2	2253,9	3484,7
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0,0	0,0	0,0
7063	წყლის სისტემების განვითარება	54,2	104,0	2002,6
7064	გარე განათება	55,9	742,6	758,3
7066	სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	103,3	3820,3	4346,7
707	VII. ჯანმრთელობის დაცვა	45,0	56,2	67,1
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	45,0	56,2	67,1
708	VIII. დასვენება, კულტურა და რელიგია	509,6	765,9	684,4
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	141,3	177,0	144,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	368,3	538,9	488,4
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0,0	50,0	50,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0,0	0,0	2,0
709	IX. განათლება	496,7	1479,1	1394,4
7091	სკოლამდელი განათლება	436,1	530,0	396,2
7096	საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება	60,6	71,0	76,8
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0,0	878,1	921,4
710	X. სოციალური დაცვა	336,7	358,0	693,1
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	90,0	100,0	175,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0,0	0,0	2,0
7107	სოციალური გაუცხოვების საკითხები რომელიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	54,5	66,0	78,9
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	192,2	192,0	437,2
	სულ	5242,5	20345,7	24187,6



მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 7492.2 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 10786,9 ათასი ლარით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
III .საოპერაციო სალდო	5,010.7	9,492.3	5,221.1	4,271.2	10,786.9	4,977.5	5,809.4
V.მთლიანი სალდო	3632.4	5169.6	1808.0	3361.6	7492.2	5109.6	2382.6

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 7547.8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	0.0	5169.6	1808.0	3361.6	7547.8	2382.6	5165.2
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	5169.6	1808.0	3361.6	7547.8	2382.6	5165.2
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	5169.6	1808.0	3361.6	7547.8	2382.6	5165.2

ფინანსური აქტივების კლება 7547.8 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო არნგარიშზე არსებულ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2020 წლის განმავლობაში.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 55.6 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2018 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტის სასახო



ვალდებულებები ჯამში შეადგენს 108.0 ათას ლარს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 195.4 ათასი ლარი.

თავი II. დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 18028,4 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამ ული კოდი	პრიორიტეტი,პროგრამა , ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	18028.4
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	7436.1
020101	გზების მიმდინარე მოვლა-შენახვა	248.2
020102	გზების მშენებლობა რეაბილიტაცია	7187.9
02 02	წყლის სისტემების განვითარება	2002.6
020201	სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია (მოვლა-შენახვა)	123.4
020202	სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია	1879.2
02 03	გარე განათება	758.3
020301	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	0.0
020302	გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი	185.0
020303	კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში	573.3
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	3484.7
020401	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია	3373.5
020402	ავარიული ობიექტების შენობების რეაბილიტაცია (ბინათმშენებლობა)	111.2
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2027.9
020501	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	2027.9
020502	შადრევან-აუზების ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია	0.0
020503	სასაფლაოების მოწყობა მოვლა-პატრონობა, სარიტუალო ღონისძიებები	0.0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები	1265.4
02 07	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	1053.4



პროგრამის დასახელება	კოდი 0201	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2020 წლის დაფინანსება 7436,1
პროგრამის განმახორციელებელ	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა გზების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას, როგორცაა გზების (ორმული) და ფრაგმენტული შეკეთება, გზების ქვიშა- ხრეშოვანი მასალის მოწყობა, ქუჩების ტროტუარების მიმდინარე კაპიტალური შეკეთება, გზებზე ასფალტ/ ბეტონის დაზიანებული მონაკვეთებზე ბზარების დამუშავება. პროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა. გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ქუჩებისა და გზების განტვირთვას სატრანსპორტო ნაკადისაგან და ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას.. მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებიდან გამომდინარე მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოს განხორციელების აუცილებლობა. მუნიციპალიტეტში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზების და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითი ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება.		
მოსალოდნელი შედეგები	– მუნიციპალიტეტის საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა, – მოდერნიზებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა, – მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	გზების მიმდინარე მოვლა-შენახვა	2020 წლის დაფინანსება	
	020101		248,2	
პროგრამის განმახორციელებელ		მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი		გზის საფარის მდგომარეობის შენარჩუნება. ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების ხარისხიანი შენარჩუნება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ასფალტის გზის გზის საფარი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ არის დაზიანებული, პროექტის მიზანია განხორციელდეს გზის დაზიანებული საფარის ორმოული შეკეთება, ასევე წლის		



			განმავლობაში დაზიანების შემთხვევაში ოპერატიულად განხორციელდეს გზის სავალი ნაწილის მონიშვნა ნიშანსადაც საღებავით, ბზარების ამოვსება ა/ზ ნარევით, მოთხოვნის შემთხვევაში აუცილებლობიდან გამომდინარე სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების და საგზაო ნიშნების მოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგები			შენარჩუნებული ასფალტის საფარი		

პროგრამის დასახელება	კოდი 020102	გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია	2020 წლის დაფინანსება
			7187,9
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ არის დაზიანებული, პროექტის მიზანია თანდათანობით განხორციელდეს გზების სრული რეაბილიტაცია, ასევე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მომავალი წლებში რეაბილიტაციისთვის საჭირო პროექტების შესყიდვა და რეაბილიტირებული პროექტების ზედამხედველობა.		
მოსალოდნელი შედეგები	რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული მიმოსვლა		

პროგრამის დასახელება	კოდი 020201	სასმელი წყლის სისტემების ექსპლუატაცია (მოვლა-შენახვა)	2020 წლის დაფინანსება
			123.4
პროგრამის განმახორციელებელი		მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	



განმახორციელებელი	სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის წყლის მიწოდების სერვისის გამართული ფუნქციონირება. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ დმანისში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის მიზანია: – მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება; – მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს; – წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან: სასმელი წყლის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა და სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა. ექსპლოატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები და შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, რომელიც ემსახურება ქალაქ დმანისს და 12 სოფელს, ხოლო დანარჩენ სოფლებს მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია.
მოსალოდნელი შედეგები	– მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობს სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი, – მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს სასმელ წყალზე აქვს შეუფერხებელი წვდომა, – აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად, – წყლის სისტემაში პერიოდულად წარმომნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	2020 წლის დაფინანსება
	0203		758,3
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
	ლამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართულ გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო თანხები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქალაქ დმანისში და 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტებში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 90%. გარე განათების ქსელი მოიცავს ---- ზე მეტ განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, --- ზე მეტ სანათ წერტილს, ----გრძელ მეტრზე სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 120,0 ათას ლარში ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტრენერგიის ანაზღაურებას.		



პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან, ესენია: – გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია, – კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში. გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური / ინფრასტრუქტურის ხასიათის, ასევე მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელისგაფართოება- გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი -- გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მათ შორის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას). ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში--- მრავალწლიანი. 2020 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან და კაპიტალური დანახარჯებიდან.
მოსალოდნელი შედეგები	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში, შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება, შედეგად, მუნიციპალიტეტის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათების ქსელი, განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად დაფარვა გარე განათებით.

პროგრამის დასახელება	კოდი 020302	გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი	2020 წლის დაფინანსება
			185.0
პროგრამის განმახორციელებელი		მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი		დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქალაქ დმანისში და 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: – მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა. – ამორტიზირებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება. – დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას (120.0 ათასი ლარი).	
მოსალოდნელი შედეგები		გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 90%.	



პროგრამის დასახელება	კოდი 020303	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	2020 წლის დაფინანსება
			573,3
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია, – კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში. გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური / ინფრასტრუქტურის ხასიათის, ასევე მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელისგაფართოება- გაუმჯობესების ღონისძიებებს, . ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში--- მრავალწლიანი. 2020 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან და კაპიტალური დანახარჯებიდან.		
მოსალოდნელი შედეგები	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში, შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება, შედეგად, მუნიციპალიტეტის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათების ქსელი, განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2020 წლის დაფინანსება
	0205		2027,9
პროგრამის განმახორციელებელი		მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა, მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების და გართობის ადგილების შექმნის მიზნით.	



მოსალოდნელი შედეგები	კეთილმოწყობილია მუნიციპალიტეტი, მოსახლეობას აქვს დასვენების და გართობის ზონა

პროგრამის დასახელება	კოდი 020501	საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა	2020 წლის დაფინანსება
			2027,9
პროგრამის განმახორციელებელი		მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი		სკვერების და პარკების მოწყობა, რეაბილიტაცია; ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა	
მოსალოდნელი შედეგები		შექმნილია დასვენების და გართობის ახალი კერები	

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 599.1 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა , ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	599.1
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	509.7
03 01 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა ა(ა)იპ "დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური"	500.0



03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	0.0
03 03	კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში	64.4
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	25.0

პროგრამის დასახელება	კოდი 03 01 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2020 წლის დაფინანსება
			509.1
პროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იკ-დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი		დმანისის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შეძენა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორიცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან. პროგრამის ფარგლებში ა(ა)იკ -დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 2 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის ქალაქში და სოფლებში.რომლის გატანაც ხდება მერიის მიერ გამოყოფილ სპეციალურ ნაგავსაყრელზე. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 40 მ/კუბ ნარჩენი რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 2 ნაგავმზიდი. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იკ - დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის ხელფასებს.	
მოსალოდნელი შედეგები		მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქ. დმანისის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა; დასუფთავდება მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები .	

პროგრამის	კოდი	2020 წლის დაფინანსება
-----------	------	--------------------------



დასახელება	03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	64.4
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა გულისხმობს ნაგავმზიდი მანქანების და ნაგვის კონტეინერების შეძენას, რათა ნელნელა სრულად მოხდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ათვისება		
მოსალოდნელი შედეგები	შეძენილი ურნები და ნაგავმზიდი მანქანები		

პროგრამის დასახელება	კოდი 03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები		2020 წლის დაფინანსება 25.0
პროგრამის განმახორციელებელი			მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის აღწერა და მიზანი			პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა	
მოსალოდნელი შედეგები			დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნება მაწანწალა ძაღლები, მოსახლეობა დაცულია მაწანწალა ცხოველებისაგან.	

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1394,4ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წლის გეგმა
04 00	განათლება	1394,4
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	396,2



	ფუნქციონირება		
04 01 01	სკოლამდელი აღზრდის სამსახური ა(ა)იპ "დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახური"	396,2	
04 02	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	76,8	
04 02 01	საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება ა(ა)იპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი	76,8	
04 03	საჯარო სკოლების დაფინანსება	921,4	

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2020 წლის დაფინანსება	
	04 01 01		396.2	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ-დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. დმანისის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მცხოვრები ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 9 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 340-ზე მეტი ბავშვი. დაწესებულებაში დასაქმებულია 49 თანამშრომელი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, რომელიც იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები/ აგრეთვე საბავშვო ბაღებში არსებული სანიტარული და ჰიგიენური ნორმები შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმების შესაბამისად; საბავშვო ბაღებში ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და გაუმჯობესება. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონის შესაბამისად ააიპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის“ დაქვემდებარებაში შემავალ საბავშვო ბაღებში დაწყებულია მზადება ავტორიზაციისათვის, რომლის ხუთი კომპონენტიდან ერთ-ერთი მოთხოვნაა საკმარისი რაოდენობის მომსახურე პერსონალის არსებობა. საბავშვო ბაღებში დარღვეულია კანონის მე-20 და 22-ე მუხლები, ჯგუფების მოცულობისა და აღმზრდელების ბავშვებთან თანაფადაობა. ამიტომ ერთ-ერთი აუცილებელი პრიორიტეტია : არასაკმარისი სამტატო განრიგის ზრდა და აუცილებელი პერსონალით უზრუნველყოფა. ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება, ა(ა)იპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა.			
	მოსალოდნელი	დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა		



შედეგები	და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში ისარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 340-ზე მეტი შესაბამისი ასაკის აღსაზრდელი.	
----------	---	--

პროგრამის დასახელება	კოდი 04 02 01	განათლების ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება 76.8
პროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ-დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი	
პროგრამის აღწერა და მიზანი		დმანისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „საგანმანათლებლო ცენტრი“ რომელიც წარმოადგენს სკოლის გარეშე სასწავლო დაწესებულებას, იგი დაფუძნდა 2008 წლის 18 დეკემბერს დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მუნიციპალიტეტის ქონების ბაზაზე. ცენტრში დასაქმებულია 8 თანამშრომელი. ცენტრის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის სახელმწიფო ენის და უცხო ენის (ინგლისური ენა) შესწავლის უზრუნველყოფა. გარდა ამისა ცენტრში ტარდება ტრენინგები მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-განვითარების მიზნით. აქტუალურ თემებზე. ა(ა)იპ „საგანმანათლებლო ცენტრი“ ორიენტირებულია და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეთნიკურ უმცირესობას რათა მოხდეს მათი მხრიდან ენების შესწავლა და გამოყენება პრაქტიკაში, წინსვლასა და განვითარებისათვის.	
მოსალოდნელი შედეგები		მოსწავლეობისათვის აკადემიური და სახელმწიფო ენის ცოდნის ამაღლება, წინსვლა და განვითარება, ასევე, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ არაქართულ ენოვანი მოსახლეობის ინტეგრაციის გაძლიერება საზოგადოებაში.	

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 680.4 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წლის გეგმა
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	684.4



05 01	სპორტული სფეროს განვითარება	146.0
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა ა(ა)იპ "ომარ მუმლადის სახელობის სპორტული სკოლა"	144.0
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	2.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	488.4
05 02 01	კულტურული სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა ა(ა)იპ "დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი"	297.0
05 02 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა ა(ა)იპ "დმანისის სამუსიკო სკოლა"	97.5
05 02 03	საბიბლიოთეკო სამასახურის ხელშეწყობა ა(ა)იპ "დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური"	93.9
05 02 04	კულტურული ღონისძიებები	0.0
05 03	რელიგიური ორგანიზაციის ხელშეწყობა	50.0

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება
	05 01 01		144.0
პროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ- ომარ მუმლადის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა	
პროგრამის აღწერა და მიზანი		სპორტული სკოლა აერთიანებს სხვადასხვა წრეებს: ფეხბურთი (32 ბავშვი); თვისუფალი ჭიდაობა (16 ბავშვი); ჭიდაობა ძიუდო (80 ბავშვი); კარატე (16 ბავშვი); ჯადრაკი (12 ბავშვი); ტაიკვანდო 16, კრივი-16.სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 194 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სპორტულ სკოლაში დასაქმებულია 22 ადამიანი, მათ შორის, 4 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი 5 და 14 მწვრთნელი. სკოლის აღსაზრდელები პერიოდულად მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე საზღვარგარეთ. ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის და ასევე საზღვრებს გარეთაც.	
მოსალოდნელი შედეგები		სპორტული სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად და არსებული წრეებით დაინტერესებულ აღსაზრდელებს აძლევს შანსს იცხოვრონ სპორტული ცხოვრებით, გამოავლინონ სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდები ასახელონ მუნიციპალიტეტი.	

	კოდი	2020 წლის დაფინანსება
--	------	-----------------------



პროგრამის დასახელება	05 01 02	სპორტული ღონისძიებები	2,0
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტის პოპულარიზაცია, მასობრივი სპორტი განვითარება.ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ახალგაზრდების სპორტით დაინტერესება. სპორტის სახეობების დამატება და სპორტსმენების წახალისება და დაჯილდოვება		
მოსალოდნელი შედეგები	მოსახლობა მასიურადაა ჩაბმული სპორტულ აქტივობებში		

პროგრამის დასახელება	კოდი 05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულების ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება 297,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ-დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ააიპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულებები, მათ შორის ქართული ხალხური რეწვის (თექა და ხეზე კვეთა), ხატვის, ფოლკლორული (სიმღერა და ცეკვა), ხალხური საკრავების, საგალობლების, საესტრადო, სამეჯლისო და სპორტული ცეკვების და თეატრალური სტუდიები და ასევე ფოლკლორული ანსამბლები. სტუდიებში დღეისათვის დადის 250 ბავშვი, ხოლო ანსამბლებში ჩართულია 24 მონაწილე. ცენტრში ფუნქციონირებს არქეოლოგიური საექსპოზიციო დარბაზი, სადაც განთავსებულია 600-ზე მეტი ექსპონატი. საექსპოზიციო დარბაზის მნახველთა რაოდენობა წლის განმავლობაში საშუალოდ 1200-1500-ია. კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსება მიმდინარე წელს 362.5 ლარია. ააიპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის შენობაშია განთავსებული სსიპ. ზინაიდა კვერენჩილაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, სადაც ყოველთვიურად ტარდება სპექტაკლები. ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს თეატრთან. ცენტრის მიზანია, დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის მომზადება და ჩაბმა ხალხურ შემოქმედებაში, ფოლკლორულ – ეთნოგრაფიულ კოლექტივებში, სახელოვნებო და სხვა წრეებში; დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ფოლკლორული, შემოქმედებითი პროფესიული ანსამბლების და სხვა სახელოვნებო სტუდიების, ცენტრის მუზეუმისა და ტურისტული საქმიანობის ორგანიზება, კოორდინაცია და ხელშეწყობა; სახვითი ხელოვნების (ფერწერა, გრაფიკა, ხატვა) ხალხური რეწვის(თექის დამუშავება, ქსოვა, ქარგვა. ხეზე კვეთა) ოსტატების, ხალხური მოქმელების გამოვლენა და ხელშეწყობა შემოქმედებით საქმიანობაში; განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და ხელშეწყობა მათი განვითარებისათვის; ზოგადად ახალგაზრდობაში ესთეტიური გემოვნების ჩამოყალიბება და მათი აღზრდა – განათლება ქართული ტრადიციების შესაბამისად ქვეპროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, სახალხო დღესასწაულების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი სადამოების ორგანიზებას; დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული ფოლკლორული ანსამბლების,სახვითი ხელოვნების (ფერწერა, გრაფიკა, ხატვა) ხალხური რეწვის(თექის დამუშავება, ქსოვა, ქარგვა. ხეზე კვეთა) ოსტატების, ხალხური მოქმელების გამოვლენას და მათი ხელშეწყობას შემოქმედებით საქმიანობაში; ასევე განსაკუთრებული და გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენას და ხელშეწყობას მათი განვითარებისათვის. სამუზეუმო და ტურისტული საქმიანობის განვითარებას. კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას, ასევე სასწავლო - სარეპეტიციო პროცესში სოფლად მცხოვრები ბავშვების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.		



მოსალოდნელი
შედეგები

ააიპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი მუშაობს შეუფერხებლად, ცენტრის თანამშრომლები უზრუნველყოფილი არიან სამუშაო პირობებით. ცენტრი აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რაც აუცილებელია ცენტრის სტუდიების ფუნქციონირებისთვის.

ცენტრში აქტიურად მიმდინარეობს სასწავლო-სარეპეტიციო პროცესი, ხდება სხვადასხვა ღონისძიებების (კონცერტები, სახალხო დღესასწაულები და სხვ) ჩატარება, მუზეუმი და თეატრი საკუთარ მომსახურებას სთავაზობენ ადგილობრივ მოსახლეობას თუ ჩამოსულ სტუმრებს და ა.შ.

ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;

კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება; პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.

მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა

პროგრამის დასახელება	კოდი 05 02 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება
			97.5
პროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ-დმანისის სამუსიკო სკოლა	
პროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ააიპ „დმანისის სამუსიკო სკოლა“ და მასში შემავალი 2 განყოფილება სოფ. განთიადსა და სოფ. ვარდისუბანში. აღნიშნულ სკოლაში განათლებას იღებს 73 მოსწავლე. სკოლებში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) სულ 14 თანამშრომელს. ააიპ „დმანისის სამუსიკო სკოლისა“ და მასში შემავალი განყოფილებების დაფინანსება შეადგენს 104,0 ათას ლარს. განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია საფორტეპიანო კლასიკური მუსიკის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში და კონკურსებში.	
		მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები სასწავლო წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული მუნიციპალიტეტში	



